ოქმი:ო31. 3125301001
თარიღი:28/10/2025

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის**
**ოქმი N 15**

ქ. ლანჩხუთი

22. 10. 2025 წელი.

**საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები გიორგი ჩახვაძე და ვერიკო კვირკველია, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** პირველ რიგში მიესალმა და კოლეგებს მიულოცა არჩევნებში შთამბეჭდავი გამარჯვება, რაც დაუღალავი შრომის შედეგია. ასევე, მუნიციპალიტეტის მერს, ალექსანდრე სარიშვილს, როგორც ღირსეულ კანდიდატს, ღირსეულ ადამიანს და ოჯახისშვილს, მიულოცა მესამე ვადით არჩევა და აღნიშნა, რომ ეს არის ოცდაოთხსაათიანი დაუღალავი შრომის დაფასება. ამის შემდეგ, საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 ივლისის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის წლიური ანგარიშის მოსმენა გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი ბესიკ ტაბიძე/

5.სხვადასხვა საკითხები.

**საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.**

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 ივლისის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მისი განმარტებით, აღნიშნულ დადგენილებში შეტანილ უნდა იქნას შემდეგი ცვლილებები:

**ა) დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

**ბ) დადგენილების 1-ლი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 1**

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი ქალთა და ბავშვთა საკითხებზე სისტემური მუშაობისა და საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ქმნის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალურ საბჭოს, რომლის შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დებულებით.

**გ) დადგენილების მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:**

5. საბჭოზე გასატან საკითხებს ამზადებს და დღის წესრიგის პროექტს ადგენს საბჭოს მდივანი, რომელიც თანამდებობრივად არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსაზღვრული მერიის ქალთა უფლებების დაცვის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.

**დ) დადგენილების მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსაზღვრული მერიის ქალთა უფლებების დაცვის საკითხებზე

პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.**
**მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.**
**მიღებულ იქნა დადგენილება N22 (22.10.2025).**

**დღის წესრიგის მეორე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ ისაუბრა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მისი განმარტებით, აღნიშნულ დადგენილებში შეტანილ უნდა იქნას შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-3 მუხლის მერვე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ე) ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დებულების დამტკიცება“;

ბ) რეგლამენტის XVII თავი (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**XVII თავი**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო

მუხლი 118. საბჭოს შექმნა

ქალთა და ბავშვთა საკითხებზე სისტემური მუშაობისა და საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად საკრებულო ქმნის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალურ საბჭოს.

მუხლი 119. საბჭოს ამოცანები და ფუნქციები

საბჭოს შემადგენლობა, საქმიანობა, ამოცანები და ფუნქციები განისაზღვრება საბჭოს დებულებით.

2. საბჭო:

ა) წელიწადში ერთხელ საკრებულოს წარუდგენს ანგარიშს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს გაწეული მუშაობის შესახებ;

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.**
**მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.**
**მიღებულ იქნა დადგენილება N23 (23.10.2025).**

**დღის წესრიგის მესამე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის

დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 27 აგვისტოს N1424 განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო 2360832 ლარი, 2025 წლის თებერვლის თვეში განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის (კერძო სახლების) კომპენსაციის გაცემის მიზნით. საქართველოს მთავრობის N1207 განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო 298249 ლარი „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.**
**მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.**
**მიღებულ იქნა განკარგულება N41 (22.10.2025).**

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხი:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის წლიური ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ სხდომას წარუდგინა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ.** მან აღნიშნა, საკრებულოს მუშაობა და მისი უფლებამოსილებები განსაზღვრულია საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“. კანონით განსაზღვრული ვალდებულების გარდა, მისი, როგორც საკრებულოს თავმჯდომარის ინტერესს წარმოადგენს, დამსწრე საზოგადოებას გააცნოს საანგარიშო პერიოდში საკრებულოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ დეტალური ანგარიში.

როგორც მან აღნიშნა, საკრებულოს თავმჯდომარეს და მერს, ბატონ ალექსანდრე სარიშვილს შორის ჩამოყალიბდა მეგობრული, კოლეგიალური, საქმიანი ურთიერთობა.

ისინი ერთიანი ძალებით ცდილობენ მუნიციპალიტეტის თითოეული მოქალაქის პრობლემის მოსაგვარებლად ქმედითი ღონისძიებების გატარებას.

როგორც კი დღის წესრიგში დგება საკითხი, მათ მიერ ხდება მისი დამუშავება, მსჯელობა და გამოსავლის ძიება.

ის, როგორც საკრებულოს თავმჯდომარე, თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში ახდენდა მოქალაქეთა მიღებას. მომართვიანობა ძირითადად სოციალური და ინფრასტრუქტურული საჭიროებების მიმართულებით ჭარბობს. შესაძლებლობების ფარგლებში ადგილზე ხდება დახმარების გაწევა, ასევე, მოქალაქეთა ინფორმირებულობა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. მათ 24 საათიან რეჟიმში აქვთ კომუნიკაცია მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებთან და იციან ის საჭიროებები, რომელიც ხალხისთვის არის აუცილებელი.

მისი განცხადებით, საკრებულოს თავმჯდომარის ფუნქცია-მოვალეობის შესრულება მეორე ვადით მოუხდა, რაც უდიდესი პასუხისმგებლობაა. აქედან გამომდინარე, წლის აღნიშნული ანგარიში ამ მოწვევის საკრებულოს წინაშე ბოლოა. ის მუშაობას ასრულებს.

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს თავმჯდომარეს ჰქონდა არაერთი შეხვედრა, როგორც ადგილობრივ, ისე სამთავრობო დონეზე.

ცდილობს, რომ ის სიკეთეები, რომელიც შეიძლება მიიღოს მუნიციპალიტეტმა, მაქსიმალურად იქნას მოძიებული და ასახული რეალობაში - ამის ნათელი დადასტურებაა მშენებარე სკოლები, ბაღები, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები - ქალაქსა თუ სოფელში.

მიუხედავად მრავალი გამოწვევისა, წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, ყველაზე მაღალ

ნიშნულზე ავიდა და ეს სწორად გადადგმული ნაბიჯების დამსახურებაა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანები ცხოვრობენ. საანგარიშო პერიოდში საკრებულოს თავმჯდომარეს აქტიური კომუნიკაცია ჰქონდა რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებთან, რამდენჯერმე შეხვდა მათ და გაეცნო საჭიროებებს. ბესიკ ტაბიძემ ათნიშნა, რომ ისინი საზოგადოების ღირსეული წევრები არიან და კიდევ ერთხელ დააფიქსირა პატივისცემა მათ მიმართ.

რაც შეეხება უშუალოდ საკრებულოს, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს მუშაობას, აღსანიშნავია, რომ მისი მუშაობის ორგანიზების მიზნით შექმნილია საკრებულოს ბიურო, რომელიც შედგება 12 წევრისგან. ხოლო, საკრებულოში საკითხის წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისთვის ხელის შეწყობის, მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით, შექმნილია საკრებულოს კომისიები.

დღესდღეობით საკრებულოში მუშაობს შემდეგი მუდმივმოქმედი კომისიები:

1. იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია - თავმჯდომარე გიორგი ხელაძე;

2. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია - თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე;

3. ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია - თავმჯდომარე ზაზა წულაძე;

4. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია - თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი;

5. სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია - თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა:

> საკრებულოს - 13 (მათ შორის 4 რიგგარეშე), ხოლო ბიუროს - 10 სხდომა;

> იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის - 10 სხდომა;

> საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის - 5 სხდომა;

> ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის - 8 სხდომა;

> სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის - 6 სხდომა;

> სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის - 8 სხდომა.

როგორც მოგეხსენებათ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, გარდა კომისიებისა, დაფუძნებულია ასევე ფრაქციები, რომლებიც წარმოადგენენ საერთო პოლიტიკური შეხედულების მქონე საკრებულოს წევრთა ნებაყოფლობით გაერთიანებას.

საკრებულოში მოქმედებს სამი ფრაქცია. ესენია:

1.„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, სადაც საკრებულოს 18 წევრია გაერთიანებული (1. ია მოქია - თავმჯდომარე, 2. ვლადიმერ ნანაძე - მოადგილე, 3. ნინო მშვიდობაძე - მოადგილე, 4. ლოლიტა ურუშაძე - მოადგილე, 5. კარლო წილოსანი მოადგილე, 6. სპარტაკ კვაჭაძე - მოადგილე, 7. გოგი მორჩილაძე - მოადგილე, 8. ბესიკ ტაბიძე, 9. ემზარ თევდორაძე, 10. გიორგი ჩახვაძე, 11. ვერიკო კვირკველია, 12. კარლო კვიტაიშვილი, 13. გიორგი ხელაძე, 14. ზაზა წულაძე, 15. ელისო ჭიჭინაძე, 16. რევაზ კვერენჩხილაძე, 17. კახა თედორაძე, 18. გიორგი იმნაიშვილი.

2. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, სადაც 4 დეპუტატია (1. კახაბერ ასკურავა - თავმჯდომარე, 2. გიორგი გოგუაძე - მოადგილე, 3. ირმა მგელაძე, 4. გივი ცინცაძე);

3.„ლანჩხუთი - საქართველოსთვის“ - 3 წევრით (1. მაკა მშვიდობაძე - თავმჯდომარე, 2. გოჩა ჯანაშია - მოადგილე, 3. ჯუმბერ ბლაგიძე).

ორი დეპუტატი კი არც ერთ ფრაქციაში არ არის გაწევრიანებული (ალექსანდრე მახათაძე, დარეჯან ბურჭულაძე).

საანგარიშო პერიოდში გაიმართა:

ფრაქცია - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ - 6 სხდომა;

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ - 7 სხდომა;

ფრაქცია „ლანჩხუთი - საქართველოსთვის“ - 6 სხდომა.

სამწუხაროდ, ოპოზიციური პარტიები გამოგონილი „ბრალდებებით“ უმეტეს წილად ბოიკოტირების რეჟიმში იყვნენ და არ მონაწილეობდნენ არც წლის მთავარი საფინანსო დოკუმენტის (ბიუჯეტის) თუ სხვა საჭირბოროტო საკითხების განხილვაში.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები და გრძელდება დღესაც. ბოლო წლებში არაერთი სტიქია დაატყდა ჩვენს მუნიციპალიტეტს და სამწუხაროდ, წელსაც არ იყო გამონაკლისი. თებერვლის თვეში მოსულმა ძლიერმა ნალექმა თოვლის სახით პრობლემები შეგვიქმნა. ხელისუფლების მყისიერი მოქმედების შედეგად, დროულად მოხდა ადამიანების გამოყვანა სტიქიის ზონიდან და უსაფრთხო ადგილზე დაბინავება.

ცენტრალური ხელისუფლების აქტიური მხარდაჭერით და დახმარებით - არც ერთი ოჯახი არ დარჩენილა და არ დარჩება უყურადღებოდ.

საკრებულოს უმრავლესობის ყველა წევრი 24 საათიან რეჟიმში მოქმედებდა აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად და აქტიურ კომუნიკაციაში იყო სტიქიის ზონაში ჩარჩენილ მოსახლეობასთან.

მოხდა ადამიანების როგორც ევაკუაცია, ასევე საკვებით, მედიკამენტებით თუ სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის მარაგებით უზრუნველყოფა.

სამწუხაროდ, ზარალი წელსაც დიდია, მაგრამ მისი სალიკვიდაციო ღონისძიებები დაწყებულია და კიდევ ერთხელ აღნიშნა, არც ერთი დაზარალებული არ დარჩება დახმარების გარეშე.

საკრებულო, როგორც წარმომადგენლობითი ორგანო, უზრუნველყოფს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შემუშავებას, განხილვასა და მიღებას.

ანგარიშის ფარგლებში, აღნიშვნის ღირსია რიგი ნორმატიული აქტები, რომელიც წარმოადგენს წინ გადადგმულ ნაბიჯს და მათი შემუშავება დადებითად აისახება მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე.

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ განხილული იქნა მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფების წინადადებები.

როგორც ცნობილია, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანიზებისა და მისი იდენტურობის განსაზღვრის საკითხებში, საკრებულოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან უფლებამოსილებას წარმოადგენს გეოგრაფიული ობიექტების სახელდება, ხოლო სსიპ საჯარო სკოლისთვის სახელის მინიჭების კუთხით - თანხმობის გაცემა.

როგორც გასულ წლებში, საანგარიშო პერიოდში საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია აქტიურად მუშაობდა.

კომისიამ განიხილა საკრებულო რეგლამენტში შემავალი ცვლილებები, რომლებიც შემდგომ უმრავლესობით დამტკიცდა.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ცვლილებები განიხილა და ის ჩამოყალიბდა, როგორც

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო“.

აღნიშნული ცვლილებების პაკეტი საკრებულოს რეგლამენტშიც იქნა გათვლისწინებული.

- რაც შეეხება საფინანსო-საბიუჯეტო სფეროს:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებით მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრა 27825553 ლარით, აქედან საკუთარი შემოსავლები - 21104800 ლარით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული გრანტები - 6720753 ლარით, გადასახდელები - 33100142 ლარით, აქედან ხარჯები 15102910 ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 17997232 ლარი.

მიმდინარე წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით ბიუჯეტში 2-ჯერ შევიდა ცვლილება და შემოსულობები განისაზღვრა 56638041 ლარით, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტები 34283466 ლარით, გადასახდელები - 58998871 ლარით, აქედან ხარჯები განისაზღვრა 23838638 არაფინანსური აქტივების ზრდა 16452200 ლარით.

მიმდინარე წლის ბიუჯეტში მობილიზებულია 38569256 ლარი, აქედან შემოსავლები კაპიტალურის ჩათვლით 14951902 ლარი, ხოლო გრანტები - 23617354 ლარი.

მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის სფეროს კუთხით ეკონომიკის, ქონებისა მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის მიერ შესწავლილი იქნა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტები.

ასევე, კომისიის მიერ შესწავლილი იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საპრივატიზაციო გეგმასა და ნუსხაში შესატანი ქონებები.

კომისიის მიერ შესწავლილი და განხილული იქნა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

კომისიის მიერ, ასევე შესწავლილი და განხილული იქნა „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

კომისიამ განიხილა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სსიპ „სურსათის ეროვნულ სააგენტოსთვის“, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ასევე, კომისიამ განიხილა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, აა(იპ) „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისთვის“ (ს/ნ 402157330) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი. ასევე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, აა(იპ) „ონკოქეა ჯორჯიასთვის“, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი. ასევე კომისიის მიერ განხილულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების „სსიპ ,,სურსათის ეროვნულ სააგენტოსთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ასევე, კომისიის მიერ შესწავლილი და განხილული იქნა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით,

განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტები.

კომისიის მიერ რეკომენდაცია მიეცა მერიის შესაბამის სამსახურებს, რათა მიემართათ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული უსახური ქონებები, რომლებიც აუშნოებს და ამახინჯებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იერსახეს, ასევე, საფრთხის შემცველია მოსახლეობისთვის და იმყოფება შესაბამისი სამინისტროს ბალანსზე, საბოლოოდ მომხდარიყო მათი პრივატიზება ან გადმოცემოდა მუნიციპალიტეტს.

ეს და სხვა გადაწყვეტილებები კომისიის მიერ ასახულია ოქმებში და გამოქვეყნებულია კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

- სოციალურ საკითხთა, განათლების კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ განხილულ იქნა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ 24 პროგრამა.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მიმდინარე წელს 24 სოციალური პროგრამა ფინანსდება 1 253 700 ლარით.

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება, როგორც მზრუნველობა მოკლებული ბენეფიციარების კვების უზრუნველყოფა და სოციალურად დაუცველი ბავშვების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია; ხორციელდება მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების, უსახლკარო ოჯახების ქირავნობის პროგრამაში ჩართვა. ამასთან, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ქრონიკული დაავადების მატარებელ ბენეფიციარებს. ასევე, მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებს.

მუნიციპალიტეტში მუშაობს შემდეგი სოციალური პროგრამები:

1. მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 180 000 ლარით.

2. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 25 000 ლარით.

3. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 140 000 ლარით.

4. ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 58 000 ლარით.

5. მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 20 000 ლარით.

6. ცენტრ ,,იავნანას” თანადაფინანსების პროგრამა; პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 19 000 ლარით.

7. ბიკარბონატული ჰემოდიალეზით - თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 16 000 ლარით.

8. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 15 300 ლარით.

9. სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 185 000 ლარით.

10. ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 40 000 ლარით.

11. მძიმე საცხოვრებელ პირობებში უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების

შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 50 000 ლარით.

12. უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურეობის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 5 000 ლარით.

13. ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ ონკო პაციენტთა მხარდაჭერის, რეაბილიტაციის და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგისა და დროული გამოვლენის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 70 000 ლარით.

14. ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 4 500 ლარით.

15. შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 35 000 ლარით.

16. ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 120 000 ლარით.

17. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა. პროგრამის ბიუჯეტია -4 000 ლარი.

18. სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტია - 3 000 ლარი.

19. მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს,რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტია - 7 000 ლარი.

20. 0-დან 18 წლამდე დედ-მამით ობოლ ბავშვებს და შშმ ბავშვებს რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა - 3 500 ლარი.

21. ცელიაკიით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტია - 14 400 ლარი.

22. აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტია - 155 000 ლარი.

23. შეზღუდული შესაძლებობის მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურების უზრუნველყოფის პროგრამა (დელეგირებული უფლებამოსილება) – 34 000 ლარი

23. რისკის ქვეშ მყოფი 0-დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტია - 50 000 ლარი.

სოციალური კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია ლანჩხუთში ძუძუს კიბოს სკრინინგის ცენტრის შექმნა, რომელიც თანამედროვე, ძვირადღირებული აპარატურით არის აღჭურვილი. ცენტრი შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულშია განთავსებული და ემსახურება პაციენტებს, სადაც არაერთმა ადამიანმა ჩაიტარა კვლევა. ხშირად ჩამოდიან სხვადასხვა სპეციალობის ექიმები და მოსახლეობას დახმარების ხელს უწვდიან.

სოციალურ თემატიკაზე საუბრისას, აღსანიშნავია, რომ უკვე მეორე წელია მუნიციპალიტეტში მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანას 5 ავტობუსი ემსახურება. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საზოგადოებრივი ტრანსპორტი 21 მგზავრზეა გათვლილი და ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე. დაინერგა გადახდის თანამედროვე სისტემაც, რომელიც ძალიან გამართულად მუშაობს და კომფორტულია მგზავრთათვის.

ცალკე აღსანიშნავია, რომ ლანჩხუთში ფუნქციონირებს 150 სტუდენტზე გათვლილი მულტიპროფილური კოლეჯი, რომელიც ოზურგეთის კოლეჯის „ჰორიზონტი“ სასწავლო

ბაზა გახლავთ, რაც სოციალური კუთხით ძალიან კარგი და მისასალმებელი მოვლენაა. კოლეჯში პროფესიული განათლების მსურველები შეძლებენ ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, ინჟინერიის, განათლებისა და მომსახურების სფეროს პროფესიების დაუფლებას.

აქტუალობიდან გამომდინარე, საკრებულოს თვმჯდომარე შეეხო მუნიციპალიტეტში განხორციელებულ და განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რომელთაგან ზოგიერთი მათგანის შესახებ ზემოთ ისაუბრა.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია და მისი წევრები საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდნენ პროექტების შერჩევასა და განხორციელებაში, რაშიც თავის მხრივ განსაკუთრებით აქტიურად იყვნენ ჩართულები მაჟორიტარი დეპუტატები. ცალკე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წელს ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გაცილებით მეტი თანხაა გათვალისწინებული, ვიდრე გასულ წლებში.

რეგიონული განვითარების ფონდის მიერ ჯამში 7 594 529 ლარი იხარჯება, რაც ბოლო წლებში ყველაზე დიდი თანხაა და გასულ წლის მაჩვენებელს საკმაოდ აღემატება.

ეს თანხები განაწილებულია შემდეგ პროექტებზე:

ქალაქ ლანჩხუთში ბაგრატიონის, ბესიკის, გოგებაშვილის, ებრალიძის, თამარ მეფის (პირველი ეტაპი), რ. ებრალიძის, საფო მგელაძის, ჩაჩავას და ხოფერიას ქუჩების რეაბილიტაცია - 820 436 ლარი.

ქალაქ ლანჩხუთში სპორტული დარბაზის მშენებლობა - 1 831 301 ლარი.

ჯურუყვეთის ცენტრალური გზისა და ლესის გზის რეაბილიტაცია - 2 094 262 ლარი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდმაღალაში შიდა სასოფლო გზის და სოფელ შრომისუბანში მოედნის გზის რეაბილიტაცია - 2 245 723 ლარი.

მაჩხვარეთის, ჩიბათის, ღრმაღელის, სუფსის და ქალაქ ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულებში ხელოვნურსაფარიანი მინი სტადიონების მშენებლობა _ 602 807 ლარი.

აშენდა ახალი ბაღები აკეთის, ნიგვზიანის, ჩოჩხათის, ნინოშვილი და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

სრულდება საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ აკეთის, ჯურუყვეთის, ღრმაღელის და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია.

დასრულების ფაზაშია ჩოჩხათის, ნიგვზიანის, ჯურუყვეთის და ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულებში გაზმომარაგების სამუშაოები. ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი იქნება ბუნებრივი აირით უზრუნველყოფილი, რაც ძალიან მისასალმებელი ფაქტია. სტიქიის შედეგად მოხდა დაზიანება, თორემ დღეს უკვე ყველგან იქნებოდა ბუნებრივი აირი ჩართული.

სოფლის პროგრამის ფარგლებში, ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის 55-ვე სოფელში 748 ათასი ლარის სამუშაოები მიმდინარეობს. მოსახლეობის აქტიური ჩართულობით, სოფლის კრებებზე მოხდა იმ პრიორიტეტების განსაზღვრა, რომელიც შემდგომ აღნიშნულ პროგრამაში იქნა გათვალისწინებული.

ზემოთ რამდენჯერმე აღინიშნა სტიქიის თემა. ხაზი უნდა გაესვას, რომ სტიქიის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 23 185 279 ლარი იხარჯება.

თანხები გადანაწილებულია შემდეგ ობიექტებზე:

ა) სტიქიის შედეგად დაზიანებული ნაპირსამაგრების რეაბილიტაცია - 3 628 684 ლარი.

ბ) დაზიანებული ხიდების რეაბილიტაცია - 3 199 145 ლარი.

გ) აცანა-მამათის დამაკავშირებელ გზაზე სამაგრი კედელის მოწყობა და შრომისუბანში დამეწყრილი მონაკვეთის აღდგენა - 8 245 542 ლარი.

დ) დაზიანებული სანიაღვრე არხების აღდგენა - 3 416 968 ლარი.

ე) დაზიანებული გზების რეაბილიტაცია - 4 694 940 ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსდა 992 226 ლარის სამუშაოები. თანხები გადანაწილდა შემდეგ ობიექტებზე:

ა) ჩიბათის და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში გარე გამოყენების ფიტნეს ტრენაჟორების მოწყობა - 68 000 ლარი.

ბ) სუფსის სამუსიკო სკოლის გათბობის სისტების მოწყობა - 46 424 ლარი.

გ) ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ჭინათში სასმელი წყლის რეაბილიტაცია - 88 802 ლარი.

დ) ქ. ლანჩხუთში საქმიანი ეზოს მოწყობის სამუშაოები - 789 000 ლარი.

აუცილებელია აღინიშნოს, საკრებულოში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს როლზე, რომელიც შეიქმნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილი გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს საბჭოს სახელმა ცვლილება განიცადა და ის ჩამოყალიბდა, როგორც „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო“.

დღეისათვის, საბჭოში გაერთიანებულია 31 წევრი, მათ შორის არიან, როგორც საკრებულოს, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შუხუთის ადმინისტრაციულმა ერთეულმა ტრადიციულ თამაშობას „ლელოს“ უმასპინძლა, რომელიც წელს „ზემოურების“ გამარჯვებით დასრულდა.

სოფელმა აკეთმა ტრადიციულ დოღს უმასპინძლა, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი მონაწილეობდა.

აღსანიშნავია, რომ ქალაქში გაიმართა „ლანჩხუთობა-2025“, სადაც წარმოდგენილი იყო არაერთი საინტერესო ღონისძიება, როგორც გურული ეთნო-კუთხე, ასევე, სხვა ღირსშესანიშნაობები. საპატიო ლანჩხუთელის წოდება მიენიჭა 7 ადამიანს. არაერთი საპატიო სტუმარი სტუმრობდა „ლანჩხუთობა-2025-ს“, რომელიც შეიძლება ითქვას, მუნიციპალიტეტის საერთო-სახალხო დღესასწაულად გადაიქცა.

მუნიციპალიტეტი შეუერთდა ოჯახის სიწმინდის დაცვის დღეს და ასობით ადამიანმა მიიღო მსვლელობაში მონაწილეობა, რომელიც გურიის მასშტაბით ქალაქ ოზურგეთში შედგა.

ლანჩხუთმა კიდევ ერთხელ უმასპინძლა ჭადრაკში ნოე ჟორდანიას სახელობის ტურნირს, სადაც ქართველ მოჭადრაკეებთან ერთად, უცხოელებიც მონაწილეობდნენ. ჯამში 270 მონაწილეზე მეტი იბრძოდა საუკეთესოს ტიტულისათვის.

სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში ახალი მუსიკალური სასწავლებელი გაიხსნა, რაც ძალიან მისასალმებელი ფაქტია და არა მარტო სუფსის წარმომადგენლებს აქვთ საშუალება პირველადი მუსკილაური განათლების მიღებისა.

წელსაც შედგა წარჩინებული კურსდამთავრებულების - ოქროსა და ვერცხლის მედალოსნების დაჯილდოება. წარჩინებული მოსწავლეებს ფულადი ჯილდოებიც გადაეცა მუნიციპალიტეტის მერიისგან.

მუნიციპალიტეტმა წლის მანძილზე არაერთ საფეხბურთო თუ სხვა სახის ტურნირს უმასპინძლა. ცალკე მინდა გამოვყო საფეხბურთო ტურნირი, რომელის „არა ნარკოტიკს“ ფარგლებში ჩატარდა და მასში მთელი მუნიციპალიტეტი იყო ჩართული.

23 მაისს გაიმართა „ჩიბათობა“, სადაც მოხდა ამერიკაში წასული გურული მხედრების ძეგლის გახსნა. ღონისძიებაზე არაერთი საპატიო სტუმარი გახლდათ ჩამოსული.

გაიმართა საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის წარმომადგენლებთან შეხვედრა, რომელზეც არაერთი საინტერესო წინადადება იქნა განხილული.

ლანჩხუთში სამოქალაქო უსაფრთხოების მიმართულებით სწავლება ჩატარდა. სწავლების მიზანს, სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებზე, მუნიცპიალიტეტის თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება, მუნიციპალური საგანგებო მართვის გეგმის შემოშავება, განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა წარმოადგენდა.

როგორც ცნობილია, საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს საკრებულოს აპარატი. მისი უფლებამოსილება, სტრუქტურა და მუშაობის ორგანიზება განსაზღვრულია საკრებულოს აპარატის დებულებით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, გაწეული აქვს გარკვეული მუშაობა. თანამშრომელთა შორის ფუნქციები და უფლებამოვალეობანი განაწილებულია სტრუქტურის მიხედვით. აპარატის თანამშრომლები უზრუნველყოფენ ორგანიზაციულ, იურიდიულ, დოკუმენტურ, ანალიტიკურ და საინფორმაციო მომსახურებას. აპარატს დიდი წვლილი შეაქვს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, კომისიებისა და ფრაქციების სხდომების, აგრეთვე, საკრებულოს და საკრებულოს თანამდებობის პირთა მიერ სხვა ღონისძიებების ჩატარებაში; უნდა აღინიშნოს, რომ აპარატი ოპერატიულად ახორციელებს საკრებულოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას.

საკრებულოს აპარატის ხელშეწყობით მომზადდა სამართლებრივი აქტების პროექტები, სხვადასხვა უწყებებსა და ორგანიზაციებთან გასაგზავნი წერილები, მიმართვები და სხვა დოკუმენტები.

გარდა ამისა (5 ოქტომბრის მდგომარეობით):

- მუნიციპალიტეტის მერიიდან და სხვა ორგანიზაციებიდან შემოსულია პროექტები და მიღებულია გადაწყვეტილებები: ბრძანება - 132, განკარგულება - 39, დადგენილება - 21;

- საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოსულია 2 განცხადება, დაკმაყოფილდა ორთავე.

- მუნიციპალიტეტის გარეთ საკრებულოდან გაგზავნილია - 14 წერილი.

- საკრებულოდან საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მერიაში გაგზავნილია - 175 წერილი.

- ადგილობრივი ორგანიზაციებიდან შემოსულია (მათ შორის მერიიდან) - 81 წერილი.

- განცხადება - 9.

დაკმაყოფილებულია ყველა - შვებულება, ხელფასის ცნობა, საკრებულოს სხდომაზე დასწრება, სამუშაო ადგილის შესახებ ცნობა.

საკრებულოს წევრები ასევე აქტიურად არიან ჩართული მოქალაქეთა დახმარების კუთხით. მათი შუამდგომლობების საფუძველზე ხდება სოციალური დახმარების გაცემა.

უნდა აღღინიშნოს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის მთავარი როლი და მიზანია საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა. ასევე, მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მაქსიმალურად უზრუნველყონ მოქალაქეთა ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში უწყვეტ რეჟიმში ხორციელდებოდა საკრებულოს სხდომების

პირდაპირი ტრანსლირება.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ სოციალური ქსელის საშუალებით (საკრებულოს ფეისბუქ- გვერდზე) თვალი ადევნონ სხდომების მიმდინარეობას.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საანგარიშო პერიოდში საკრებულოს სხდომებზე სიტყვით გამოვიდა ჩვენი მუნიციპალიტეტის რამდენიმე მოქალაქე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო სარგებლობს სოციალური ქსელით (Facebook), სადაც პერმანენტულად ქვეყნდება ბიუროს, კომისიის, ფრაქციის, საკრებულოს სხდომების შესახებ ინფორმაცია და ყველა ის ღონისძიება, რომელშიც საკრებულოს წევრები იღებენ მონაწილეობას.

როგორც ცნობილია, ფუნქციონირებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი www.lanchkhuti.gov.ge, სადაც პროაქტიულად ქვეყნდება საკრებულოს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.

საკრებულოს თამჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ეს არის ის ძირითადი საქმიანობა, რომელიც საანგარიშო პერიოდში საკრებულომ და აპარატმა გაწია. წინ კიდევ არის გამოწვევები და ძალას და ენერგიას არ დაიშურებენ, რომ უფრო მეტი სიკეთე შექმნან სახელისუფლებო გუნდთან ერთად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში. მან კიდევ ერთხელ გადაუხადა კოლეგებს მადლობა გუნდური მუშაობისთვის. ასევე, მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს, **ალექსანდრე სარიშვილს** ურთიერთთანამშრომლობისთვის და აღნიშნა, რომ მერია და საკრებულო ერთი ორგანიზმია, რომელიც ემსახურება საერთო საქმეს. საკრებულოს თავმჯდომარემ ერთობლივი საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა იმ კოლეგებს, რომლებიც ახალი მოწვევის საკრებულოში არ იქნებიან, მაგრამ მიუხედავად ამისა, მეგობრობა გრძელდება და უსურვა მათ შემდგომი წარმატებები.

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში საკრებულოს მიერ მიმდინარე წელს გაწეული მუშაობის შესახებ, საკრებულოს წევრების მიერ ცნობად იქნა მიღებული.**

**სხვადასხვა საკითხები:**

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე **ია მოქია** შეუერთდა მადლობის პათოსს და აღნიშნა, რომ ოთხი წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის მერთან ერთად განახორციელეს ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი მოსახლეობის საკეთილდღეოდ. უმრავლესობის თითოეული წევრი იყო მოწოდების სიმაღლეზე. გუნდი დაკომპლექტებულია პროფესიონალებით, განათლებული საზოგადოებით, რომელიც უყვარს ხალხს და ენდობა. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ამ წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ყველაზე ძლიერი, მაღალი ლეგიტიმაციის მქონე თავმჯდომარე, **ბესიკ ტაბიძე,** რომლის დამსახურებაა საკრებულოს სწორი მენეჯმენტი და ნაყოფიერი საქმიანობა. საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა საკრებულოს თავმჯდომარეს თავდაუზოგავი შრომისთვის, გუნდურობისთვის და სჯერა, რომ ბესიკ ტაბიძე საქმიანობას ღირსეულად გააგრძელებს. **ია მოქიამ** ასევე, მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს, **ალექსანდრე სარიშვილს,** რომელმაც, უკვე მესამედ, დაიმსახურა ხალხის მაღალი ნდობა და სიყვარული. ნაყოფიერი იყო მის მიერ განვლილი მერობის პერიოდი. შემდგომი ოთხი წელიც მორგებული იქნება მოსახლეობის საჭიროებებზე და განხორციელდება მნიშვნელოვანი პროექტები. ამის შემდეგ, ია მოქიამ მადლობა გადაუხადა პარტია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ გუნდს და ბიძინა ივანიშვილს მშვიდობისა და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვნი რეფორმებისთვის. ეს არის გუნდი, რომელიც ორიენტირებულია საქმეზე. სწორედ ამის შედეგია, რომ იგი მთელი საქართველოს მასშტაბით წარმოდგენილია მაღალი ლეგიტიმაციით. გუნდი აგრძელებს საკრებულოში უმრავლესობით მუშაობას და საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ თითოეულ მათგანს უსურვა შემდგომი წარმატება.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე **ნინო მშვიდობაძე** შეუერთდა კოლეგის გამოსვლას და

აღნიშნა, რომ ამ მოწვევის საკრებულოში საჯარო სექტორიდან პირველად მოხდა წარმომადგენლობით ორგანოში. ამ ხნის მანძილზე ძალიან ბევრი კარგი საქმეა გაკეთებული, რაც დაინახა მოსახლეობამ. მან მადლობა გადაუხადა საკრებულოს თავმჯდომარეს და მუნიციპალიტეტის მერს გაწეული საქმიანობისთვის. საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე დარწმუნებულია, რომ შემდგომი ოთხი წელი გაცილებით მეტი სიკეთის მომტანი იქნება მუნიციპალიტეტისთვის. კიდევ ერთხელ გადაუხადა კოლეგებს მადლობა და მიულოცა გამარჯვება გუნდის ახალ წევრებს, რომელთანც ერთად გააგრძელებს საქმიანობას.

საკრებულოს წევრი, **დარეჯან ბურჭულაძე** შეუერთდა გამომსვლელების პათოსს და მადლობა გადაუხადა კოლეგებს, რომლებთან ერთადაც ამ ოთხი წლის განმავლობაში ძალიან ბევრი კარგი, სასიკეთო საქმე გააკეთეს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საკეთილდღეოდ. ყველაზე დიდი გუნდურობის პრინციპი გამოჩნდა სტიქიის დროს, როდესაც ერთ მუშტად შეკრულები, ორგანიზებულად და წარმატებით გაუმკლავდნენ გამოწვევებს. საკრებულოს წევრმა მადლობა გადაუხადა როგორც საკრებულოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეებს - ასევე, კომისიების და საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარეებს. გარდა ამისა, მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს, რომელსაც კიდევ ერთხელ დაუმტკიცა ხალხმა სიყვარული და ნდობა. საკრებულოს წევრმა ასევე მადლობა გადაუხადა საკრებულოს აპარატის თითოეულ თანამშრომელს, რომლებიც ამ ოთხი წლის განმავლობაში ღირსეულად ემსახურებოდნენ. ამის შემდეგ, წარმატება უსურვა კოლეგებს, რომლებიც ახალი მოწვევის საკრებულოში ვერ იქნებიან, მაგრამ როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ ზემოთ აღნიშნა, ურთიერთობა ამით არ სრულდება და მეგობრობა გრძელდება. განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს, რომელთაც გამოუცხადეს ნდობა და ახალი მოწვევის საკრებულოს წევრებს უსურვა, რომ ახალი შემართებით და ერთობლივი ძალისხმევით გააგრძელონ ის საქმიანობა, რასაც ხალხის სამსახური ჰქვია.

მუნიციპალიტეტის მერი, **ალექსანრდრე სარიშვილი** მიესალმა დარბაზში მყოფთ და აღნიშნა, რომ დღეს ამ მოწვევის საკრებულოს ბოლო სხდომა იმართება. მან მადლობა გადაუხადა საკრებულოს თავმჯდომარეს, ბესიკ ტაბიძეს და საკრებულოს თითოეულ წევრს თანამშრომლობისა და ურთიერთობისთვის. ეს საკრებულო შეიკრიბა 2021 წელში, როცა პანდემია ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. ურთიერთთანამშრომლობით და ორგანიზებული საქმიანობით, მაქსიმალურად შეეცადნენ გამკლავებოდნენ შექმნილ სიტუაციას. გარდა ამისა, 2023 წელს დატრიალებულ სტიქიას მოჰყვა როგორც მსხვერპლი, ასევე ძალიან რთული და სერიოზული შედეგები. მიუხედავად ასეთი სირთულეებისა, ერთობლივად, ძალიან დიდი შრომით და მერიის სამსახურების აქტიური ჩართულობით შეძლეს გამკლავებოდნენ სხვადასხვა გამოწვევებს, რომელთა ნაწილის აღმოფხვრა დღესაც მიმდინარეობს. როგორც ცნობილია, წელს მუნიციპალიტეტში იყო ისეთი მოულოდნელი დიდთოვლობა, როგორიც ბოლო ათწლეულების მანძილზე ახსოვთ. ზარალი იყო ძალიან მასშტაბური, რომელთა აღმოსაფხვრელად გასწიეს უზარმაზარი შრომა და ძალისხმევა. მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ინფრასტრუქტურული კუთხით ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში რამდენჯერმე მეტი თანხა დაიხარჯა, ვიდრე წინა პერიოდებში. მან, კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობბა და წარმატებები უსურვა საკრებულოს იმ წევრებს, რომლებიც არ იქნებიან ახალი მოწვევის საკრებულოში. ასევე, მადლობა გადაუხადა საკრებულოს თავმჯდომარეს, **ბესიკ ტაბიძეს** თანამშრომლობისა და საქმიანი ურთიერთობისთვის, რაც ყოველდღიურ რეჟიმში აქვთ. მადლობა გადაუხადა საკრებულოს აპარატს, რომელიც აქტიურად არის ჩართული სამუშაო პროცესში. ასევე, საკრებულოს ყველა წევრს, მერიის სამსახურებსა და თანამშრომლებს, მოადგილეებს და აღნიშნა, რომ როგორც მუნიციპალიტეტში, ასევე, ზოგადად, ქვეყანაში, გამოწვევები ჯერ კიდევ ბევრია, რომელთა გადალახვას ყველა მიმართულებით ჭირდება თავდაუზოგავი შრომა და ძალისხმევა.

**ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.**

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

22 ოქტომბერი 2025 წელი
12:00 საათი

| № | სახელი, გვარი | გამოცხადების დრო | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| 1 | ბესიკ ტაბიძე | 11 [illegible] | [illegible] |
| 2 | ემზარ თევდორაძე | — | — |
| 3 | ვერიკო კვირკველია | 11 45 | [illegible] |
| 4 | გიორგი ჩახვაძე | 11 50 | [illegible] |
| 5 | გიორგი ხელაძე | 11 50 | [illegible] |
| 6 | ალექსანდრე მახათაძე | 11 45 | [illegible] |
| 7 | ზაზა წულაძე | 11 55 | [illegible] |
| 8 | კარლო კვიტაიშვილი | 11 55 | [illegible] |
| 9 | გიორგი იმნაიშვილი | — | — |
| 10 | ია მოქია | 11:50 | [illegible] |
| 11 | კახაბერ ასკურავა | — | — |
| 12 | მაკა მშვიდობაძე | — | — |
| 13 | ვლადიმერ ნანაძე | 11 50 | [illegible] |
| 14 | კარლო წილოსანი | 11:49 | [illegible] |
| 15 | ლოლიტა ურუშაძე | 11 55 | [illegible] |
| 16 | ნინო მშვიდობაძე | 11:50 | [illegible] |
| 17 | გოგი მორჩილაძე | — | — |
| 18 | სპარტაკ კვაჭაძე | 11.58 | [illegible] |
| 19 | გიორგი გოგუაძე | — | — |
| 20 | გოჩა ჯანაშია | — | — |
| 21 | ელისო ჭიჭინაძე | — | — |
| 22 | რევაზ კვერენჩხილაძე | 11 50 | [illegible] |
| 23 | კახა თედორაძე | 11 55 | [illegible] |

| | | | |
|---|---|---|---|
| 24 | დარეჯან ბურჭულაძე | 11:30 | |
| 25 | ირმა მგელაძე | — | — |
| 26 | გივი ცინცაძე | — | — |
| 27 | ჯუმბერ ბლაგიძე | 11:38 | |